პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ხუთშაბათი, 5 ნოემბერი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

252 (950) | 1და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. ნ. სტრ.

## დღეს ჩვენი წითელი ჯარის რიგებიდან გრძელ ვადიან შვებულებაში მიდის შვებულების მეორე წყება.

### ამხანაგო შვებულნო! ნუ გასწყვეტ კავშირს წითელ ჯართან და თქვენს გაზეთ „წითელ-არმიელ“-თან!

## შვებულო, მუდამ გახსოვდეს განსვენებული ბელადის დავალება.

დღეს ჩვენი წითელი ჯარიდან გრძელ ვადიან შვებულებაში მიდიან 1902 წელში დაბადებული წითელ არმიელები, რომლებიც გამოიწვიეს 1924 წელში გაზაფხულზე და არ იქნენ გაშვებული პირველ რიგში.

მათი სახით წითელი არმია ჩვენ სოფელს უბრუნებს კიდევ ერთ წყება პოლიტიკურად და კულტურულად მომზადებულ მუშაკებს. ამხანაგო შვებულებო! წითელ ყაზარმაში წლინახევრის ყოფნის შემდეგ თქვენ სტოვებთ მის კედლებს და მიდიხართ გრძელ ვადიან შვებულებაში. პირველი რასაც გაბარებს თქვენი წითელი არმია—ეს უამბოთ სოფელს იმ საშინელი დანაკლისის შესახებ, რომელიც ულმობელმა სიკვდილმა მიაყენა წითელ არმიას, გამოგლიჯა რა მის რიგებს საყვარელი ბელადი ამხ. ფრუნზე.

შვებულებო უამბეთ თქვენ სოფლელებს თუ ვინ იყო ფრუნზე, როგორ იბრძოდა ის მუშებისა და გლეხების კეთილდღეობისათვის.

მეორე—პირნათლად შეასრულეთ განსვენებული ბელადის დავალება. თქვენ ხომ გახსოვთ რა დაგვავალათ წითელი არმიის საყვარელმა ხელმძღვანელმა:

„არ შეარცხვინო წითელი არმიაო“!

რას ნიშნავს ეს სიტყვები? მას, რომ შვებული წითელი არმიელი სახლში დაბრუნებისას უნდა გახდეს ახალი სოფლის აქტიური მშენებელი, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის საუკეთესო დამხმარე იმ დიდ შემოქმედებით მუშაობაში, რომელიც სწარმოებს ამ ჟამად სოფლად. ამხ. ფრუნზეს სიტყვები ნიშნავენ აგრეთვე იმას, რომ მიდის რა გრძელ ვადიან შვებულებაში, წითელარმიელებმა არ უნდა დაივიწყოს წითელი არმია, უნდა ზრუნავდეს მისი რიგების განმტკიცებაზე, მის გაძლიერებაზე და მასთან სცდილობდეს სამხედრო საქმეში არც თვით ჩამორჩეს, შეძენილი ცოდნა უფრო გააფართოვოს.

იყავ სამაგალითო, წითელ არმიისათვის საამაყო მუშაკი მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცებისა და სოციალიზმის შენების საქმეში—აი რას ნიშნავენ ამხ. ფრუნზეს სიტყვები.

იყავ წითელი არმიის ღირსეული შვილი, როგორც მშვიდობიან ხანაში, ისე საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან შეიარაღებულ ბრძოლის დროს—აი რა დაგვავალათ მან. წითელი ჯარი ღრმად დარწმუნებულია, რომ შვებულები ყოველივე ამას პირნათლად შეასრულებენ და მართლადაც არ შეარცხვენენ წითელ არმიას.

მხურვალე სალამი სოფლის ახალ მუშაკებს! წითელი არმია გისურვებთ თქვენ ნაყოფიერ მუშაობას მუშურ-გლეხური ხელისუფლების და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

## ბელადის სიკვდილის შემდეგ.

წითელი არმიის ბელადი დავასაფლავეთ. მისი სამარის წინაშე წითელმა არმიამ ფიცი დასდო, რომ პირნათლად შეასრულებს ყველა მის ანდერძებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს ოქტომბრის მონაპოვარს.

ეს ფიცი მტკიცედ უნდა შევასრულოთ. ამხ. ფრუნზეს სიკვდილის შემდეგ წითელი არმიის ყოველი მეომარი-მეთაური, პოლიტმომუშავე, წითელი არმიელი უნდა გაიმსჭვალოს მეტი პასუხის მგებლობით თავის მოვალეობისადმი. ნუ დავივიწყებთ, რომ მთავარი ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა ამხ. ფრუნზემ არის წითელ-არმიის რიგების გასალკლევება და მისი საბრძოლო უნარის აწევა.

საჭიროა ყოველმა წითელ არმიელმა კარგად იცოდეს ეს.

ამასთანავე ერთად ამხ. ფრუნზეს სახელის უკვდავსაყოფად საჭიროა მთელი მისი რევოლიუციონური მოღვაწეობას კარგად ეცნობოდეს ყოველივე წითელი მებრძოლი და მის ცხოვრების შესწავლას აქედანვე შეუდგეს წითელი ჯარი.

დეე! ჩვენი წითელი ჯარის რიგებში ნუ იქნება ნურც ერთი წითელი მეომარი, რომელსაც კარგად არ ცოდნოდეს ამ სახელოვან უშიშარ რევოლიუციონერის ნარეკლიანი, ბრძოლით და ტანჯვით ალსავსე ცხოვრება.

ფრუნზე მაგალითი უნდა გახდეს ყოველი მეომრისათვის. ფრუნზეს უნდა იცნობდეს ყოველი წითელი არმიელი. მისი ცხოვრების მაგალითებზე უნდა აღიზარდოს ახალგაზრდა წითელ-არმიელებში მებრძოლი რევოლიუციონური სული.

მოახლოვებული ოქტომბრის დღესასწაულიც-მჭიდროთ დაკავშირებულ უნდა იქმნას წითელი არმიის ბელადის დაკარგვასთან. ამ დღეებში ფართედ და ვრცლად უნდა გაშუქდეს მიხეილ ვასილისძეს მთელი რევოლიუციონური მოღვაწეობა და მუშაობა.

წითელ-არმიელთა ფართე მასა აგრეთვე უნდა გაეცნოს იმ ამოცანებს, რომელსაც უსახავდა წითელ-არმიას ამხ. ფრუნზე.

კარგათ შევისწავლოთ ამხ. ფრუნზის რევოლიუციონური მოღვაწეობა. მთელი ენერგიით შეუდგეთ მისი ანდერძების განხორციელებას.

განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ მისი საყვარელი წითელი არმია.

მ.

## ახალი რადიო-ამბები

### დამასკის მიდამოებში თავს იყრიან აჯანყებულები.

**დამასკის მიდამოებში თავს იყრიან აჯანყებულები. დამასკში საალყო წესებია. სასამართლოებს გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი.**

გაზეთების ცნობით დამასკის მიდამოებში მოქმედებს აჯანყებულთა რაზმები. ჯებელ-დრუზში და მეჯელ-ეშეში თავი მოიყარა 80.000 კაცმა, რომელთაც არ აქვთ თავშესაფარი.

— ქ. დამასკში ყოველ კუთხეში გამართულია ბარიკადები, სდგას ტანკები და ჯავშნოსნები.

ფრანგებმა 9.000 გირვანქა სტერლინგით გაადიდეს მოსახლეობაზე დადებული გადასახადი.

სასამართლოებს გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი.

— ყოველ მხრიდან თავს იყრიან დრუზები და ბედუინები აჯანყების დროშით, რომელიც აღმართა დრუზების ბელადმა ელ-ატრაშმა.

### პენლევეს მთავრობის განცხადება.

საფრანგეთის მთავრობა თავის განცხადებაში პირველ რიგში აყენებს ფინანსიურ საკითხს, რაიც განცხადების თანახმად ბევრ მქონებელ პირებისაგან „მსხვერპლს“ შეიწირავს.

შემდეგ მთავრობა აცხადებს, რომ საფრანგეთი არაფერ შუაშია მაროკოს ომში და ამ საკითხის მოგვარება დამოკიდებულია აბდ-ელ-ქერიმზე. ფრონტებზე მდგომარეობის გაუმჯობესების გამო შეიძლება გაწვეულ იქნას უკან საფრანგეთის ჯარების ერთი ნაწილიო.

რაც შეეხება საერთაშორისო მდგომარეობას, მთავრობას განზრახული აქვს გააგრძელოს საერთაშორისო გაერთიანების საქმე, „რომელმაც ისე კარგად წაიწია წინ ლოკარნოს კონფერენციაზე.

### ლონდონის ქალაქის თვითმართველობის არჩევნები

არჩევნების წინასწარ გამოანგარიშებით მუშათა პარტიამ მოიგო 55 ადგილი პროვინციებში და რამდენიმე ადგილი ლონდონის განაპირებში.

### ახალფეხული



წითელ ჯარისაკენ!

### „დეილი ნიუზი“ საბჭოთა კავშირის შესახებ.

ინგლისის ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუზი“ აცხადებს, რომ როცა საბჭოთა კავშირმა გამოსთქვა სურვილი გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, მაკდონალდს თავი უნდა შეეკავებია ზოგიერთი განცხადებისაგან.

გაზეთს მხედველობაში აქვს მაკდონალდის განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ „საბჭოთა მთავრობა უფრო ბურჟუაზიული და ნაკლებ მშვიდობიანობის მოყვარულია ევროპის მთავრობათა შორის“ და „თუ რომ რუსეთი არ დაიკავებს თავის ადგილს ევროპის სახელმწიფოებს შორის, ჩვენ უიმისოდაც ვიარსებებთ“-ო.

დასასრულ გაზეთი აცხადებს, რო მთუ რუსეთი, რომელიც ასე განცალკევებულია, ვერ შესძლებს აღადგინოს თავისი კეთილმდგომარეობა, ევროპაც ვერ შესძლებს ურუსეთოდ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას“.

### „დეილი ტელეგრაფი“ რაკოვსკის დანიშვნის შესახებ

რაკოვსკის დანიშვნის შესახებ საბჭოთა კავშირის ელჩად პარიზში, ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ სწერს, რომ რაკოვსკიმ მიიღო ეს დანიშნულება, როგორც პარიზის პოლიტიკური ცხოვრების კარგად მცოდნემა და გამოცდილმა პროპაგანდისტმა. გაზეთის აზრით, რაკოვსკი შესძლებს საფრანგეთისა და პოლონეთის დახლოებას.

„ფარულად—ამბობს გაზეთი—ეს პოლიტიკა მიმართულ იქნება უფრო ადრე ინგლისის, ვინემ გერმანიის წინაალმდეგ. რაკოვსკიზე დაკისრებულია რუმინეთის განცალკევება და იმ კავშირის შესუსტება, რომელიც იმყოფება რუმინეთსა და საფრანგეთს შორის“.

### კუკის განცხადება.

ინგლისის სამთომადნო მუშათა გაერთიანების მდივანმა კუკმა განაცხადა, რომ უმუშევრობა აიძულებს ახალგაზრდობას ათასობით ჩაეწერონ არმიასა და ფლოტში.

„მე დარწმუნებული ვარ—განაცხადა მან—რომ მუშა ახალგაზრდობა არ იქნება თავიანთ მშობლების დახვრეტის თანახმა. არმიაში ჩაწერით სამრეწველო განხეთქილების გადაჭრის დროს ახალგაზრდობა არ მიმართავს იარაღს თავის მახლობელთა წინაალმდეგ.

# ამხ. მ. ვ. ფრუნზეს დასაფლავება.

მთელი ღამის განმავლობაში ფრუნზეს ცხედართან იცვლებოდა საპატიო ყარაულები, რომელშიაც მონაწილეობდენ ფაბრიკა-ქარხნების, მუშების, პარტიულ ორგანიზაციების და წითელი არმიის წარმომადგენლები.

დღის 11 საათსა და 40 წუთზე პროლეტარული ჰიმნის ქვეშ კუბო ფრუნზეს ნეშტით გამოაქვთ კოლონიან დარბაზიდან კალინინს, რიკოვს, კამენევს, სტალინს, ზინოვიევს, ძერჟინსკის და ენუქიძეს.

საპატიო ყარაული, რომელიც მიაცილებს კუბოს, შესდგება რესპუბლიკის რევსამხსაბჭოს წევრებისა და მუშურგლეხური წითელი არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობისაგან.

ლენინის აკლდამასთან კუბოს ასვენებენ ლაფეტზე.

აკლდამის ტრიბუნაზე ადიან კალინინი, სტალინი, რიკოვი, კამენევი, კრუპსკაია, ტომსკი, ენუქიძე, ზინოვიევი, უნშლიხტი, კუიბიშევი, ბუხარინი, სმირნოვი, რუძუტაკი, მიხაილოვი და ივანოვო-ვოზნესენსკისა და შუიას მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პირველ სამგლოვიარო სხდომას ხსნის ენუქიძე და აძლევს პირველ სიტყვას სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რიკოვს.

რიკოვი ამბობს: „ფრუნზე ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც იშვიათი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი რევოლიუციის წინაშე. 1910 წელში მეფის მთავრობამ ფრუნზეს სიკვდილი მიუსაჯა, რომელიც შეცვლილ იქნა კატორღით. სიკვდილისა და კატორღის გზით ფრუნზემ მიუტანა თავისი სიყვარული მუშათა კლასსა და რევოლიუციას. იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანები, რომლებიც იმდენად წამებულან რევოლიუციისთვის და ისე მჭიდროდ ყოფილან დაკავშირებული რევოლიუციონურ მოძრაობასთან, როგორც ფრუნზე.

ფრუნზე იყო არა მარტო ერთი საუკეთესო და უანგარო რევოლიუციონერთაგანი: მისი სახით ჩვენ ვასაფლავებთ დიდს, გიგანტიურ მასშტაბის ადამიანს. საკმარისია მოვიგონოდ გადამჭრელი დაკვრა აღმოსავლეთ ფრონტზე კოლჩაკის წინააღმდეგ, რამაც უზრუნველყო რევოლიუციონურ ჯარების საბოლოო გამარჯვება; ფრუნზეს, როგორც სამხედრო სტრატეგის მეოხებით, რევოლიუციონურმა ჯარმა გაიმარჯვა ვრანგელზე; ფრუნზეს უშუალო მონაწილეობითა და მეთაურობით დამსხვრეულ იქნა სამხრეთ ფრონტზე ცარიზმის უკანასკნელი ნაშთები. მე არ ვიცი არც ერთი ფურცელი სამოქალაქო ომის ისტორიიდან, სადაც არ იყოს ფრუნზეს სახელი, როგორც რევოლიუციონურ გამარჯვებათა მონაწილესი. ჩვენ დღეს ვასაფლავებთ ოქტომბრის რევოლიუციის გამოცდილ სტრატეგს, სარდალსა და გამარჯვებათა ორგანიზატორს“.

რკპ-ს ცეკას სახელით სიტყვას ამბობს სტალინი.

„ფრუნზეს სახით— ამბობს ის —ჩვენ დავკარგეთ ჩვენი დროის ერთ-ერთი პატიოსანი, უანგარო და უშიშარ რევოლიუციონერთაგანი.

მისი სახით პარტიამ დაჰკარგა ერთ-ერთი უერთგულესი და დისციპლინიანი შვილი საბჭოთა ხელისუფლებამ დაჰკარგა ერთ-ერთი გაბედული და სახელმწიფოს ნიჭიერი მშენებელთაგანი. არმიამ დაჰკარგა ერთ-ერთი თავის საყვარელ ხელმძღვანელთაგანი. ამ წელმა გამოგვტაცა ჩვენი რიგებიდან მთელი რიგი ამხანაგებისა.

ძველი ამხანაგები მიდიან საფლავში, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდა ცვლის შორის არც ისე ადვილია მათი მოადგილეების პოვნა. მე იმედი მაქვს, რომ მუშათა კლასი მოიკრებს იმდენ ძალას, რათა გამოსჭედოს ახალი მომუშავეები მიმავალთა შესაცვლელად“.

კომინტერნის სახელით გამოდის ზინოვიევი, რომელიც ამბობს:

„ფრუნზე, როგორც ყველა ჭეშმარიტი ბოლშევიკები, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მონაწილე იყო. აი რატომ გამოსთქვამს მწუხარებას მისი გარდაცვალების გამო მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. აი რატომ იდრეკს მუხლს კომინტერნი მისი სამარის წინაშე. უნებურად მოგდის თავში შედარება ფრუნზესა და კარლ ლიბკნეხტის ცხოვრებას შორის. როგორც კარლ ლიბკნეხტი, ფრუნზე განირჩეოდა რევოლიუციონური გამბედაობით, სცხოვრობდა მუდამ მასებში, დაკავშირებული იყო მათთან, თავდადებული იყო მათთვის, ჰქონდა მხურვალე რევოლიუციონური გული. იღუპებიან ცალკე მებრძოლნი, სიკვდილი გვტაცებს ცალკე რევოლიუციონერებს, მაგრამ პროლეტარული რევოლიუცია დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება. რევოლიუცია, რომელიც წარმოშობს ისეთ მებრძოლებს, როგორიც იყო ფრუნზე გაიმარჯვებს. ჩვენი პარტია უფრო შეამჭიდროვებს თავის რიგებს.

ჩვენი ახალგაზრდობა ისწავლის ფრუნზეს მაგალითზე და ასწავლის ახალ თაობას რევოლიუციონურ ბრძოლას“.

სსრკ-ს რევსამხსაბჭოს სახელით გამოდის ბუბნოვი და ამბობს: „წითელმა არმიამ დაჰკარგა ფრუნზეს სახით ბელადი, ამხანაგი და ძვირფასი მეგობარი. ივანოვო—ვოზნესენსკში და შუიაში თავის იატაკ ქვეშ მუშაობის პირველ ხანებშივე ფრუნზემ თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა, ორატორმა და ფართე მასების საყვარელმა პირმა.

ფრუნზე იყო პარტიის განათლებული თეორეტიკოსი და მტკიცედ იდგა რევოლიუციონური ბრძოლის თეორიის თანამედროვე ნიადაგზე. ციხეში, კატორღაში და გადასახლებაში მან გამოსჭედა სასურველი მტკიცე ნება რევოლიუციონურ ბრძოლისადმი.

სამოქალაქო ომის დროს ის იყო პროლეტარიატის საბრძოლო ოპერაციის დიდი ტაქტიკოსი. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში მან გაატარა არმიის რიგებში იდეა მტკიცე დისციპლინის, ახალი ტერსისტემის და არმიის რეორგანიზაციისა თანამედროვე ტეხნიკის საფუძვლებზე“.

უკანასკნელად ივანოვო—ვოზნესენსკის მუშების სახელით გამოვიდა ფადეევი და მოსკოვის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების სახელით—მიხაილოვი.

სიტყვები დამთავრდა. ორკესტრები უკრავენ სამგლოვიარო მარშს.

პროცესია ფრუნზეს ცხედრით მიდის მოედნისკენ ლენინის აკლდამასთან და მიემართება საფლავისაკენ. არაჩვეულებრივ სიჩუმის ქვეშ ფრუნზეს ცხედარს უშვებენ სამარეში.

ფრუნზეს საფლავის გვერდით მიდიან მოსკოვის მშრომელთა უთვალავი რიგები წითელი დროშებით და სამგლოვიარო პლაკატებით.

რიგების გავლა გრძელდება ღამის სიბნელემდის.

## საქართველოში.

### ახალსენაკში.

3 ნოემბერს დღის ორ საათზე ქალაქის ბაღში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი ფრუნზეს დასაფლავების გამო. ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოვიდენ სიტყვებით წითელი არმიის ბელადის ხსოვნის საპატივცემოდ. ადგილობრივმა სამხედრო ნაწილმა სალიუტი მისცა.

## აზერბეიჯანში.

### ბაქოში.

ფრუნზეს დასაფლავების დღეს გაიმართა სამგლოვიარო დემონსტრაცია მოედანზე, სადაც დასაფლავებულია 26 კომისარი.

სიტყვები წარმოსთქვეს სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და მთავრობის წევრებმა.

2 საათზე გაისმა ფაბრიკა-ქარხნების საყვირის ხმები. ორკესტრის ხმები შესწყდა. დაბლა დაიხარა წითელი დროშები. მთელი მოედანი გაქვავდა.

საღამოს მუშათა და წითელარმიელთა კლუბებში გაიმართა მოგონებათა საღამოები.

# ოქტომბრის მე-8 წლის თავისთვის.

## ოქტომბრის დეკრეტები.

წერილი 3.

### რევოლიუციამ გაიმარჯვა.

შეკითხვაზე: „რა მნიშვნელობა აქვს ოქტომბრის გადატრიალებას“—ლენინმა განაცხადა:

„პირველყოვლისა ამ გადატრიალების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გვეყოლება საბჭოთა მთავრობა, ხელისუფლების ჩვენი საკუთარი ორგანო, ბურჟუაზიის ყოველგვარ მონაწილეობის გარეშე“.

„აქედან იწყება რუსეთის ისტორიაში ახალი ხანა და ამ რევოლიუციამ საბოლოოდ უნდა მიგვიყვანოს სოციალიზმის გამარჯვებამდი“. (ლენინის სიტყვიდან პეტერბურგის საბჭოში 26 ოქტომბერს 1917 წ.).

ოქტომბრის რევოლიუციამ ძლიერი ბიძგი მისცა გლეხთა მოძრაობასაც.

გლეხობა მიხვდა, რომ მხოლოდ მუშებთან კავშირში ისინი მოიშორებენ მემამულეების უღელს, რომ მხოლოდ მუშებთან კავშირში და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ისინი მოიპოვებენ ზავს და ბოლოს მოუღებენ სისხლის მღვრელ ომს.

ოქტომბრის რევოლიუცია ძლიერი იყო ორგანიზაციით და მასების შეკავშირებით და არ ყოფილა ეჭვი იმაში, რომ ის გაიმარჯვებდა და „მიიყვანდა პროლეტარიატს—როგორც ლენინი ამბობდა—მსოფლიო რევოლიუციამდი“.

* * *

ქვეყნის მართვა-გამგეობისთვის საბჭოთა მე-2 ყრილობამ 26 ოქტომბერს შეჰქმნა დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელსაც ეწოდა სახალხო კომისართა საბჭო.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ლენინი.

პირველი საზრუნავი მუშურ გლეხური მთავრობისთვის იყო მიეცა ზავი ხალხისთვის, მიწა გლეხებისთვის.

აი რატომ იყო, რომ ოქტომბრის რევოლიუციის პირველი დეკრეტები იყო მიწისა და ზავის შესახებ.

### ზავის შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ მიმართა მეომარ ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს წინადადებით დაიწყონ მოკლე დროში საზავო მოლაპარაკება.

დეკრეტში ნათქვამი იყო:

„სამართლიან ანუ დემოკრატიულ ზავად, რომელსაც ნატრობს ყველა მებრძოლ ქვეყნების ომით ქანც-გაწყვეტილი და განაწამები მუშები და მშრომელი კლასები, ზავად, რომელსაც გარკვევითა და დაჟინებით მოითხოვდენ რუსეთის მუშები და გლეხები მეფის მონარქიის ჩამოგდების შემდეგ—ასეთ ზავად მთავრობა სთვლის ზავს უანექსიოდ (ე. ი. სხვისი მიწების დაჰერისა და უცხო ხალხთა ძალით შემოერთების გარეშე) და უკონტრიბუციოდ.

მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გადაჭრით უარყო ომის გაგრძელება. იმავე დეკრეტში ზავის შესახებ ნათქვამია, რომ, „ამ ომის გაგრძელება ომისთვის, თუ როგორ იქნას განაწილებული მდიდარ ერებს შორის მათ მიერ დაპყრობილი წვრილი ერები, მთავრობა დიდ ბოროტმოქმედებად სთვლის კაცობრიობის წინაშე და აცხადებს თავის გადაწყვეტილებას—ხელი მოაწეროს საზავო პირობებს“.

### მიწის შესახებ.

მეორე დეკრეტი აცნობებდა მრავალმილიონიან გლეხობას, რომ მიწის კერძო საკუთრება ისპობა და რომ მთელი მიწა ერთმევა მემამულეებს და გადაეცემა გლეხობას.

ამ ერთი დეკრეტით მიწის შესახებ ბოლშევიკების პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა სრული ნდობა გლეხობაში. გლეხებმა მტკიცე კავშირი შეჰკრეს მუშათა კლასთან და შემდეგ ერთად იბრძოდენ ოქტომბრის რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ.

* * *

ასწერს რა მიწისა და ზავის შესახებ პირველი დეკრეტების მნიშვნელობას, ძველი ბოლშევიკი-ლენინელი ამხ. იაროსლავსკი ამბობს:

„საუკუნოებით გრძელდებოდა გლეხთა ბრძოლა მემამულეებთან, საუკუნეების განმავლობაში ასხდა ზურგზე თავად-აზნაურობა თავის მონებს. ოქტომბრის რევოლიუციამ ერთის დაკვრით გაანადგურა თავად-აზნაურთა წოდება“.

„იმპერიალისტურმა ომმა სისხლიანი ხელშეკრულებით შეჰბოჭა ხალხის მასა. თითქოს არ ჰყოფნიდა ხალხს ძალა ებრძოლა ფრონტების ამ სისხლიან უფლების წინააღმდეგ... რა მხიარული გამოძახილით გაისმა სიტყვები ზავის შესახებ 1917 წლის ოქტომბრის დღეებში, როცა ადამიანის სისხლი და ტვინი იგლისებოდა ტალახში ევროპის ბრძოლის ველებზე“...

აი ოქტომბრის რევოლიუციის ის პირველი დეკრეტები. ოქტომბრის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ბოლშევიკების პარტია, ხოლო მისი ბელადი და მესაჭე—ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

დერევენსკი.

„კრ. ვ.“

# მეთაურო, ერთგულად მოჰკიდე ხელი სამხედრო მომზადებას.

1903 წლის გაწვევა მალე დამთავრდება. მალე მოვა არმიის რიგებში ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე და სწავლას მოწყურებული მომავალი მეომრები.

ჩვენ კადრის შემადგენლობამ კვლავ უნდა მოიკრიბოს ძალა მძიმე, მაგრამ მადლიერი მუშაობის—ახალწვეულთა აღზრდის და სწავლებისთვის.

არ შეიძლება ახალწვეულთა მომზადება დაიწყო იმით, რაც ჩვენ დაგვრჩენია წარსულიდან. უსათუოდ საჭიროა ამ მუშაობისთვის მომზადება. ეს მუშაობა გამოიხატება იმაში, რომ ერთის მხრივ ჯამი უნდა გაუკეთოს გამოცდილებას და მეორეს მხრივ, შეისწავლოს და გააღრმავოს როგორც მიმდინარე წელში გამოსული წესდებები, ისე მეომართა სწავლების წესიც (მეთოდიკა). ეს მუშაობა უკვე სწარმოებს ყველა ჯარის ნაწილებში და რამდენად კარგად იქნება ის დაყენებული ამა თუ იმ ნაწილში და რამდენადაც მეთაურთა შემადგენლობა შეგნებულად მოეპყრობა ამ საკითხების დამუშავებას, რომლებიც დაკავშირებული არიან ახალწვეულთა მომზადებასთან, იმდენად ადვილი იქნება მეომრისთვის ასეთ მომზადებულ მეთაურთა შემადგენლობასთან მეცადინეობა, რომელიც (მეთ. შემადგ.) უსათუოდ მოკლე ხანში მიაღწევს მნიშვნელოვან შედეგებს. საჭიროა თვითეულმა გასინჯოს თავისთავი და მოიგონოს, თუ როგორ სწარმოებდა მუშაობა წარსულ წლებში. უეჭველია, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რომ უფრო მომზადებულ მეთაურთა შემადგენლობის ხელში მეომრები გაცილებით უფრო ჩქარა ითვისებდენ სამხედრო საქმეს და არ სთვლემდენ მეცადინეობის დროს.

ამიტომ უნდა ვისარგებლოდ ახალწვეულთა მოსვლამდე დარჩენილ მოკლე დროით და დავაწყეთ მომზადებას, რათა არ დავრჩეთ სუსტი მეთაური.

ი. ბარ.

# მივდივართ გრძელ ვადიან შვებულებაში.

**ჩვენი გულწრფელი მადლობა ჩვენს აღმზრდელ მეთაურებს.**

მივდივართ რა გრძელ ვადიან შვებულებაში, ჩვენ ქართულ სამხედრო მეთაურთა გაერთიანებული სკოლის წითელ არმიელები უღრმეს მადლობას უძღვნით ჩვენს მეთაურს ჯიჯიეშვილს იმ ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, რომელიც გამოიჩინა ამხ. ჩვენს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ აუარება სამუშაო გვქონდა შესასრულებელი და ძნელად თუ მოვასწრებდით მის გაკეთებას ამხ. ყოველგვარ ზომებს მიმართა, რომ ეს სამუშაო დაგვესრულებია ამ დროსთვის და ერთი დღეც არ დაგვგვიანებოდა გრძელ ვადიან შვებულებაში წასვლა. დღეს 5 ნოემბერს ჩვენ უბრუნდებით ჩვენს ოჯახებს საკმაოდ მცოდნე, განვითარებული და სრულიად გამოცვლილი. ვეღარც კი გვიცნობენ ჩვენი მშობლები.

ჩვენ ვეტყვით ჩვენი სოფლების გლეხებს, რომ მათი შვილები მოყავთ წითელ ყაზარმებში არა მარტო იმის შესასწავლად თუ როგორ უნდა დაიჭირონ თოფი ხელში, არამედ იმისთვისაც, რომ ასწავლონ წერა-კითხვა, პოლიტიკური ცოდნა და გამოიყვანონ საბჭოთა კავშირის ნამდვილი მოქალაქე.

კიდევ მადლობას უძღვნით ჩვენს მეთაურებს ასეთი ყურადღებისათვის და უსურვებთ უფრო მეტი ენერგია გამოეჩინოთ 1903 წელში დაბადებულ არმიელების აღზრდის საქმეში.

სკოლის წ.-არმ.
ა. პეტრაიტი.

# გრძელ ვადიან შვებულებაში მიმავალ არმიელის ფიცი.

წითელ ყაზარმაში ვიყავი გამოწვეული 1924 წელში და ამ ჟამად მივდივარ გრძელ ვადიან შვებულებაში, უბრუნდები მშობლიურ კერას. ვიძლევი პატიოსან წითელი არმიელის სიტყვას, რომ ყველაის რაც წითელ ყაზარმაში შევისწავლე, გადავცე სოფელში მეზობლებს—გლეხებს და ხელი შეუწყო მათ განვითარების საქმეს. ამასთანავე ერთად არ დავივიწყებ ჩემ აღმზრდელ ნაწილსა და ჩემს საუკეთესო მასწავლებელ გაზეთ „წითელ არმიელს“. ვეცდები მივაწოდო მას ყველა ცნობები იმის შესახებ თუ რამდენად შევსძლებ სოფლად მუშაობას და რამდენად გამოვიყენებ წითელ ყაზარმაში შეძენილ ცოდნას.

ხოლო თუ მშრომელთა ხელისუფლება კვლავ მომიწოდებს წითელი ჯარის რიგებისაკენ, ვფიცავ ფიცხლად გავეშურო და იარაღით ხელში შევებრძოლო მშრომელი ხალხის მტრებს.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

# შვებულის წერილი სოფლიდან.

## წითელმა ყაზარმამ თვალები აგვიხილა.

**გრძელ ვადიანი შვებულებაში წასული წ.არმიელის წერილი.**

2-ე ლეგიონში სამსახურმა ბევრი რამე შემძინა: უპირველესად შევისწავლე—წერა კითხვა, რომლითაც ვამაყობ სოფლის ჩემს ტოლ ამხანაგებში. თუ ყაზარმაში წასვლამდე ანაბანაც არ გამეგებოდა, ამ ჟამად სოფლის ქოხ-სამკითხველოში ყოველთვის დავიარები და ვკითხულობ მე, სხვასაც უკითხავ ახლად მიღებულ გაზეთებს და ვაცნობ გლეხებს, თუ რა ხდება ქვეყნიერებაზე.

მადლობას უძღვნი ლეგიონის მეთაურებს და ყველა იმათ ვინც ენერგიულად ეკიდებოდენ ჩვენი გათვითცნობიერებისათვის ყაზარმაში წარმოებულ მუშაობას. ყაზარმიდან მიღებულ ყველა დავალებებს პირნათლად ვასრულებთ სოფლად და თუ საჭირო იქნება, და კვლავ დაგვიძახებენ ჩვენი აღმზრდელი არმიის რიგებში ჩასადგომათ ვფიცავთ მყისვე გავეშურებით, რომ მალე წაუხდინოთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მტრებს.

ყოფ. წ. არმ.
თედო გვარამაძე.

# ცვალებადელები ხშირად ნახულობენ წითელყაზარმას.

მე-4 ლეგიონის მე-3 ათასეულის ყაზარმებში ხშირად მოდიან სოფლებიდან ჩვენი ცვალებადელები და სოფლად წარმოებულ მუშაობასთან ერთად გვაცნობენ სოფლის ჭირვარამს და სხვა. ისინი ძლიერ ხშირი სტუმრები არიან ჩვენი. ესწრებიან ათასეულში კრებებს და ისმენენ სხვა და სხვა ხასიათის საუბრებს, იმართება კითხვა პასუხი, რომელშიდაც თვითონაც ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

ხშირად გვეკითხებიან ათასეულში, თუ როგორ უნდა მიუდგენ სოფლად ამა თუ იმ საკითხის შესაფერად გატარებას, ღებულობენ რჩევა დარიგებებს და კმაყოფილი ბრუნდებიან სოფლებში. ყოფილ არმიელებთან ამნაირად გაბმულია ცოცხალი კავშირი.

სამხკორი ვ. დემოსიშვილი.

# ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

## ამხ. ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავი კრება.

**სამხედრო მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.**

2 ნოემბერს სკოლაში შესდგა ამხ. ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავი კრება. სიტყვით გამოვიდა სკოლის უფროსი ამხ. ტალახაძე, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ამხანაგი ფრუნზეს ბიოგრაფია და მისი წარსული რევოლიუციონური მუშაობა.

კრებამ გამოიტანა საერთო რეზოლიუცია, სადაც დიდი მწუხარებაა გამოთქმული ძველი რევოლიუციონერისა და წითელი არმიის საუკეთესო ბელადის დაკარგვის გამო.

ახკორი გ. ბ—ძე.

# ჩვენ ვივლით მისი გზით.

**ცხენ. ლეგიონი.**

ცხენოსან ლეგიონში მომხდარ სამგლოვიარო კრებაზე ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო, ამხ. სამგლოვიარო სიტყვების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, სადაც ლეგიონის მთელი შემადგენლობა გლოვობს სახელოვანი ხელმძღვანელის დაკარგვას, მაგრამ იმედს გამოსთქვამს, რომ წითელი არმია ეცდება მტკიცედ შეამჭიდროვოს რიგები და მედგრად ივლის ამხ. ფრუნზეს ნაჩვენები გზით.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა ფიცს სდებს დიდი ბელადის ხსოვნის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს მშრომელთა ინტერესებს.

მუშურ-გლეხური წითელი არმია არ უღალატებს მისი ხელმძღვანელის იდეალებს.

სამხკორი ა. გვენეტაძე.

# შაბათობა მე-6 ლეგ. მე-9 ასეულში

მე-9 ასეულში უფპოლიტშემადგენლობის ხელმძღვანელობით მოწყობილი იქმნა შაბათობა.

გასაწმენდი იყო ყაზარმის ეზოს კუთხე, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ეყარა აუარებელი ნაგავი და დიდ ხარჯს მოითხოვდა მისი გასუფთავება.

მე 9 ასეულის უფპოლიტშემადგენლობის წახალისებით მთელი ასეული ენერგიულად შეუდგა ეზოს ნაგავისაგან განტვირთვის საქმეს და 3 საათის განმავლობაში ეზო სრულიად გაიწმინდა.

სამხკორი გ. ციხისუბნელი.

# ჩვენი საკლუბო მუშაობა.

**მე-4 ლეგიონი.**

საკლუბო მუშაობა ჩვენთან თან და თან გაუმჯობესდა. პირველ ხანებში დიდი ყურადღება მიექცა კლუბის ტეხნიკურ მხარეების მოწესრიგებას. დახატულ იქნა დეკორაციები—მოეწყო სცენა მასიურ დადგმებისათვის. მოწვეულ იქმნა ორი რეჟისორი, რომლებიც დაუღალავათ მუშაობენ. კლუბმა საზამთრო მუშაობის პერიოდი გახსნა ზეიმით. დადგმულ იქნა „სურამის ციხე“. დადგმა კარგი იყო, საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

კლუბი ემზადება 1903 წ. დაბადებულ ახალწვეულების შესახვედრათ, გამოყოფილია სპეციალური კომისია შეხვედრის ჩასატარებლათ, რომელსაც ქონდა თათბირი და შეუდგა სამზადის მუშაობას. საწრეო მუშაობა აქამდე შეჩერებული იყო საერთო შეკრების და ლეგიონის შემადგენლობის 50 პროც. შვებულებაში გაშვების გამო, მიღებულია ზომები საწრეო მუშაობის აღსადგენათ, გამომუშავებულია გეგმა ცვალებადთა შორის სამუშაოდ და სხვა.

სამხკორი ხან-მანი.

# ვეხმარებით საშეფო სოფელს.

**მე-5 ტერლეგიონი.**

მე-5 ლეგიონს შეფობის ქვეშ აყვანილი ყავს სოფელი მესხეთი, რომელიც დაცილებულია ლეგიონიდან 4 ვერსის მანძილით.

სოფელი მესხეთი ძლიერ ჩამორჩენილია კულტურულად. სწორედ ამიტომ ჩვენი ლეგიონი სათანადო დახმარებას უწევს მას, როგორიც არის მაგალითად წარმოდგენების დადგმა, მომხსენებლების გაგზავნა, გაზეთების მიწოდება და სხვა. აღნიშნულ სოფელში არ არსებობს ქოხ-სამკითხველო. რომ გაგვეხსნა იქ სამკითხველო სოფელში გავმართეთ ფასიანი საღამო. დავდგით წარმოდგენა, თან გვახდა ორკესტრი, გაუშვით კინო-სურათები და სხვა. სამწუხაროდ ცუდი ამინდი დაგვიდგა, რამაც ხელი შეგვიშალა საღამოს ჩატარებაში. შემოსავალი ძალიან მცირე იყო.

მე-5 ლეგიონის მექანიკოსმა ალექსი ჩალაძემ, ქოხ-სამკითხველოს ფონდისთვის შესწირა ხუთი მანეთი. იმედია რომ სხვებიც წაბაძავენ მის მაგალითს და სამკითხველოსაც გავხსნით.

ოგანოვი.

# წერილი დედას.

გწყენოდეს იქნებ დედი ჯან
დღემდი ვერ გწერდი ვერასა;
ვეღარ შევსძლებდი, ხომ იცი,
ჩემით წერილის წერასა...
სწავლა დავიწყე მაშინვე,
რაც ყაზარმაში მოველი;
აქ შევისწავლე—სოფელში
რაც დამჭირდება ყოველი.

დღეს ისე მიყვარს ყაზარმა,
ვით სახლი საკუთარია;
არასდროს დამავიწყდება
ჩემი ამღზრდელი ჯარია...
სულ მალე გნახავ დედიკო,
რაც შენც მეტადრე გწყურია;
ღირსი ვარ შენი შვილობის
პირნათლად მიმსახურია.

დ. ხაზალია.

# ექსკურსია ჰაეროდრომზე.

**6-ე ლეგ. სკოლა.**

ნაუ, ნაუ, ნაუ... გაისმა ზარის ხმა, რომელმაც თვალის დახამხამებაში მოუყარა თავი სკოლის მთელ კურსანტებს. შეიქნა გაკითხვა—გამოკითხვა თუ რაშია საქმე და რად რეკავდენ ზარს. მიზეზიც გამოირკვა. წითელ არმიელებში ჩქარა გავრცელდა ხმა ექსკურსიის შესახებ. ექსკურსია ჰაეროდრომზე... ამ ხმამ ყველანი გაახარა. ცოტა ხნის შემდეგ გაისმა ბრძანება. მოვეწყვეთ. გავისწორეთ მაზარები ლამაზად და გავეშურეთ აღნიშნული ადგილისაკენ. ჰაეროპლანების ნახვა ბევრს ძლიერ ახარებდა, რადგან პირველად ჰქონდათ ამის შემთხვევა. ჰაეროდრომზე მიახლოვებამ უფრო გაამხიარულა ამხანაგები და შამოსძახეს მხედრული.

მისვლისთანავე დავიყავით ჯგუფებათ. ვინც რუსული იცოდა ცალკე ჯგუფად გამოეყო.

დაწვრილებით აგვიხსნეს ყველაფერი, გავეცანით თითქმის ყველა აპარატების თვისებებს და მათ უპირატესობას ერთმანეთთან.

ამ დროს გაისმა ასაფრენად გამზადებული ჰაეროპლანის ხმა. ყველამ ამ ადგილისაკენ მივაშურეთ, რადგან ძლიერ გვაინტერესებდა ჰაეროპლანის აფრენისათვის ცქერა. შემდეგ გამოირკვა, რომ თვითმფრინავს მხოლოდ ნაწილს უსწორებდენ და ადგილზე ავარჯიშებდენ.

ჰაეროდრომის დაწვრილებით დათვალიერების შემდეგ გამოვეშურეთ ყაზარმისაკენ. კარგი იქნება ხშირად წაგვიყვანდენ ჩვენი უფროსები ასეთ საყურადღებო ადგილებში.

სკოლის კურსანტი
ცინცაძე.

# უვარგისი პური გვეძლევა.

**ცხენოსანი ლეგიონი.**

ლეგიონში დარჩენილი იყო ძველი უვარგისი ფქვილი, რომელიც კარგა ხანია მას შემდეგ რაც დაიწუნა სამნეო დამხმარე კომისიამ და აკრძალა ამ ფქვილიდან პურის გამოცხობა. მიუხედავად ამისა დაწუნებული ფქვილი მაინც გამოვიდა დღის სინათლეზე. დამპალი ფქვილიდან ამზადებენ პურს, რიამელსაც ვერც ერთი წითელი არმიელი ვერ სჭამს. მთელი დღეები მშიერი ვართ. სად არის სამნეო დამხმარე კომისია, რად არ მიაქცევს ამ მოვლენას ყურადღებას?

სხვა რომ არა იყოს რა დამპალი ფქვილისაგან გამომცხვარი ცომი პური ავადმყოფობას გამოიწვევს.

სამხკორი სიმ. გერასიმე.

# უნდა გამოსწორდეს.

**5-ე ლეგიონი.**

მეხუთე ლეგიონის სკოლასა და საკომენდანტო ასეულს ერთად აქვთ სასადილო. ერთ დილას, როდესაც ორთავე ნაწილების მთელი შემადგენლობა ისხდა დარბაზში და შეექცეოდა ჩაის, უეცრივ შამოვარდა გაცოფებული მეთაური ამხ. ასლანაძე და ლანძღვა გინებით და დამუქრებით მიმართა ერთ არმიელს. ისე ყვიროდა ამხანაგი, რომ ყველა შეშფოთდენ. ამ ამხანაგის ასეთი საქციელი ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული ადგილობრივ კედლის გაზეთისა და გაზ. „წითელ არმიელში“, მაგრამ მაინც არ მოიშალა თავისი ჩვეულება.

რა საჭირო იყო სასადილოში ასე აყვირება და აურ-ზაური? წითელ არმიელი თუ დამნაშავე იყო შესაფერ ადგილზე და დროს უნდა მოეთხოვა მისთვის პასუხი. არც გალანძღვა იყო საჭირო. დამნაშავეს—დასჯიან და არა ასე მიმართავენ.

საჭიროა მოიშალოს ამხ. ასლანაძემ ასეთი ჩვეულება.

სამხკორი ხიდისთაველი.

# პარტიული ცხოვრება.

**5-თე ტერ-ლეგიონი.**

30 ოქტომბერს ლეგიონის შტაბის შენობაში შესდგა პირველი კომუჯრედის კრება. მოსმენილი იქნა მოხსენებები ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარებისა და პარტდისციპლინის შესახებ.

მომხსენებელმა ვრცლად აღნიშნა ყველა იმ წინასწარი სადღესასწაულო მუშაობის შესახებ, რომელიც ჩატარებული უნდა იქნეს ლენინის კუთხეებში. როგორც მაგალითად ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობაზე საუბრები და სხვა. მითითებული იქნა აგრეთვე ყაზარმების ლენკუთხეების მორთვაზე.

პარტდისციპლინის გარშემო მოხსენებაში აღნიშნული იქნა ზოგიერთ ამხანაგების შეუფერებელი საქციელი, როგორიც არის სიმთვრალე, მოვალეობის თავის დროზე შეუსრულებლობა და კრებაზე დაუსწრებლობა.

კრებამ ერთხმად დაადგინა სასტიკი საყვედური, ამხანაგური განკიცხვა გამოუცხადოს ამხანაგებს და მისცეს მათ გაფრთხილება.

სამხკორი ოგანოვი.

# სამხედრო საქმე.

## საჰაერო შპიონაჟი.

(დასასრული)

ამასთან ერთად ფრანგები ფართოდ სარგებლობდენ თავიანთი მოსახლეობის სამსახურით, რომელიც დარჩენილი იყო გერმანიის ფრონტის ზურგში. ფრანგების ჰაეროპლანები გადასხამდენ პატარა კალათებს მტრედებით პარაშუტების ან საჰაერო ბუშტების საშვალებით. კალათებში იყო საჭმელი მტრედებისთვის, ინსტრუქციები თუ როგორ მოეხმარათ ისინი, თუ რა ცნობები უნდა გაეგზავნათ, ფულები და მოწოდება მოსახლეობისადმი დახმარებოდენ თავიანთ ქვეყანას მტრის შესახებ აუცილებელი ცნობების მიწოდებით.

იმის უკანასკნელ წელში გერმანელებმა იპოვეს მივარდნილ რაიონებში დიდძალი ასეთი კალათები მკვდარი მტრედებით. მაგრამ, უეჭველია, მტრედების დიდი რაოდენობა გამოყენებულ იქნა მოსახლეობის მიერ. ხშირად ხედავდენ გერმანელები ფრანგების მხარეზე მიმფრინავ მტრედებს; ისინი რამოდენიმეს მოკვლას კიდეც ახერხებდენ; მოკლულ მტრედებზე ყოველთვის პოულობდენ სამხედრო ცნობებს. მტრედების გადმოშვება ჰაეროპლანებიდან მაინც შესამჩნევი იყო. ამიტომ ფრანგებმა დაიწყეს მტრედების გადასხმა პატარა ჰაერის ბუშტებზე. ბუშტს მიაბამდენ ხის ჯვარს, რომლის ბოლოებზე მიამაგრებდენ ოთხ კალათს საფოსტო მტრედებით. ჯვრის შუა ადგილზე მიმაგრებული იყო მოწყობილობა, რომლის საშუალებით ყოველ განსაზღვრულ დროს განმავლობაში მაგრდებოდა კალათი, მოწყობილი პატარა პარაშუტებით. ეს საშუალება შემდეგ გაუმჯობესებულ იქნა: შემოღებულ იქნა ხმარებაში ანთებული ფითილი, რომელიც რამოდენიმე დროს განმავლობაში ამაგრებდა ბუშტზე კალათს, ხოლო შემდეგ მიაწვავდა მას.

ყველა საშიშ შემთხვევებში დასმენის მისაწოდებლად გამოიყენებოდა მტრედები, მაგრამ ისინი ხშირად იხოცებოდენ, თუ რომ ჩქარა ვერ იპოვნიდენ მათ. ამიტომ ფრანგები მტრედების გადასხმასთან ერთად ჩაუშვებდენ სპეციალურ ჰაერის ბუშტებს (ამანათებად დაკეცილს), აქ იყო აღწერა იმის თუ როგორ უნდა აივსოს ბუშტი აირით და საერთოდ როგორ უნდა მოიხმარო ის, რომ დასმენა გააგზავნო. მაგრამ ბუშტების ნაკლი ისაა, რომ მათი გაშვება შეიძლება მხოლოდ ზურგის ქარის დროს.

ბოლოს ფრანგები გადაისვრიდენ კიდევ უმავთულო ტელეგრაფის პატარა აპარატებს, რომლებსაც შეეძლოთ მუშაობა 50 კილომეტრზე.

ხშირად უნახავთ გერმანელებს მინდვრებში რადიო სადგურის პატარა აპარატები.

ხშირად შეუმჩნევიათ გერმანიის რადიო-სადგურების მინდვრის აპარატებს პატარა სადგურების მუშაობა ჰაერში, მაგრამ ამ მუშაობის დაჭერას ისინი ვერ ახერხებდენ, მიუხედავად იმისა, რომ აპარატებს ხშირად პოულობდენ.

ამრიგად ჰაერის შპიონაჟის წარმოება ტეხნიკის განვითარებასთან დაკავშირებით (უმთავრესად ავიო და რადიოტეხნიკის) თანდათან ვითარდებოდა გასულ იმპერიალისტურ ომში. უეჭველია მომავალ ომებში ამგვარ შპიონაჟს ადგილი ექნება იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მტერს ზურგში არ ეყოლება თანამგრძნობი მოსახლეობა, ვინაიდან ყოველთვის შეიძლება გამცემ-ჯაშუშის პოვნა, რომელიც დახმარებას გაუწევს მტერს.

პ.

# უცხოეთის არმიებში

### შვეციის არმიის მანევრები.

შვეციის ყველა გაზეთები დაწვრილებით ეხებიან შვეციის არმიის საშემოდგომო მანევრებს. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ „პატრიოტული“ ინტერესით აღსავსე სული, რომლითაც გამსჭვალული იყო მანევრები, დარღვეული იქნა ბოლშევიკების „დანაშაულით“, რომლებმაც მანევრების რაიონში გადასჭრეს ყველა ტელეგრაფის მავთულები და აგრეთვე ჯარისკაცებში ავრცელებდენ ანტიმილიტარისტულ ლიტერატურას. მანევრების რაიონში დაკავებული იქნენ ორი ახკომკავშირლები, რომლებიც ავრცელებდენ სრულიად ლეგალურ—ნება დართულ ლიტერატურას. ისინი დატუსაღებული იქნენ სამხედრო ხელისუფალთა მიერ და გადიგზავნენ მახლობელ პოლიციის სამართველოს განკარგულებაში, სადაც დაკითხვის შემდეგ გაანთავისუფლეს. ფიქრობენ რომ ისინი გასამართლებული იქნებიან ისევ.

დიდ მანევრებთან ერთად შვეციის სხვა რაიონებში მიმდინარეობს ადგილობრივი პატარა მანევრებიც.

### მექანიკურად მოძრაობაში მომყვანი.

ჰაეროპლანების მოტორები მოძრაობაში მოყავთ პირველად ხელით. მფრინავი ატრიალებს პროპელერს ხელით, რაიც ხშირად დიდ საშიშროებაში აგდებს თვით მფრინავს. ამ ჟამად, ინგლისური გაზეთების ცნობით ადგილობრივ ერთ-ერთ ჰაეროდრომზე შამოუღიათ ჰაეროპლანის მოტორის მექანიკურად მოძრაობაში მომყვანი ხელსაწყო, რაც თავიდან გვაცილებს ზემოდ აღნიშნულ საშიშროებას. ეს ხელსაწყო შემდეგ ნაირად მოქმედობს: ავტომობილის მოტორი მოძრაობაში მოყავს გრძელ ბერკეტს, რომელიც გადასცემს თავის წრიულ მოძრაობას მოტორის ერთ უახლოეს ნაწილს.

# ამბები სოფლებიდან

## ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები.

ლიუქსემბურგში შემდგარ იქნა კომისია, რომელშიაც შედის სამიწო ქვეგანყოფილების გამგე, სარაიონო ტყის მცველი და თემის აღმასკომის თავმჯდომარე. კომისიამ უნდა გამოყოს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები.

## სატყეო მეურნეობა.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა აუკრძალა ხე-ტყის გატანა კერძო პირებს და გადასცა ეს უფლება საქართველოს სატყეო ტრესტს.

— **გლეხების შუამდგომლობა.** გამოჩინებულის თემის ნიაღვრისაგან დაზარალებულმა გლეხებმა სთხოვეს ქუთაისის სამაზრო აღმასკომს სატყეო მასალა თავის სახლკარის შესაკეთებლად.

— **დახმარება წითელ-არმიელებს.** გორის მაზრაში დახმარება ეწევა 42 წითელარმიელთა ოჯახის წევრებს.

— **სკოლები გლეხებისათვის.** ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს კამპანია გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებში ჩარიცხვის შესახებ.

— **მთელ გორის მაზრაში** გლეხკომი ამჟამად ამუშავებს 5 სახარაზოს, 3 ფურნეს და 2 სამჭედლოს.

— **ქუთაისში ახლო ხანში** ჯანსახკომი ხსნის ჭლექის სამკურნალო ამბულატორიას (დისპანსერს).

— **ტელეფონი აჭარაში.** აჭარის შინაგან საქმ. სახალხო კომისარიატმა მაზრებში ტელეფონის ქსელის გასაფართოებლათ გადასდო 5.000 მანეთი.

# ახალი ამბები.

— **აეროპლანების გადაცემა.** ოქტომბრის დღესასწაულის დღეს, 7 ნოემბერს აეროდრომზე მოხდება აეროპლანების გადაცემა კავკასიის წითელდროშოვან არმიის ავიო-რაზმისათვის. სომხეთის ავიაქიმი გადასცემს აეროპლან „ხორთერდაინ ჰაისტან“-ს, აჭარის ავიაქიმი გადასცემს „წითელ აჭარისტანს“ და ა. კ. რკ.-გზელთა პროფკავშირი გადასცემს თავის თვითმფრინავს.

— **რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატები** უკვე შეუდგენ წერა-კითხვის უცოდინარ წვევამდელთა და ცვალებადელთა აღრიცხვას.

— **ცოდნის გავრცელება.** წარსული წლის განმავლობაში აგროსადგურებმა გლეხებს დაურიგეს 21.259 სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წიგნები.

— **ლექცია-საუბრები.** მიწათმოქმ. კომისარიატის მიერ 1925 წელში მოწყობილი ლექცია-საუბრები მოუსმენია 58 ათას 288 გლეხს.

— **საქ. სახკომსაბჭომ** დაამტკიცა ჯანსახკომის მიერ წარდგენილი წესდება სულითავათმყოფთა საზოგადოების დაარსების შესახებ.

— **მუშების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.** ტფილისის დამზ. სალაროამ ქობულეთსა და სოხუმში უკვე გააგზავნა დაზღვეულ ავათმყოფთა პირველი წყება. სულ გაგზავნილია 40 კაცი.

# მეცნიერება და ტექნიკა

### ავტომობილების გამოფენა ლონდონში.

ლონდონში გამართული ავტომობილების გამოფენა მთელი ქვეყნის ყურადღებას იქცევს ამ ჟამად. გამოფენაზე თავმოყრილია 700-მდე ავტომობილები. გამოფენაზე მონაწილეობას ღებულობს 120 საავტომობილო ფირმები, რომელთაგან 50 ინგლისური ფირმებია. ფრანგულ ფირმებს თავისი რიცხვით მეორე ადგილი უჭირავთ. ომის დაწყებიდან პირველად არიან წარმოდგენილი ავსტრიის ფირმები. გერმანელები არ ღებულობენ გამოფენაში მონაწილეობს. აქ უმეტესობა 400-500 გირ. სტერლინგათ ღირებული ავტომობილები არიან (4-5 ათასი მანეთი).

მაგრამ გამოფენაზე არიან ისეთი ავტომობილებიც, რომელთა ღირებულება აღწევს 1.200 მან. და ხშირად 30.000 მანეთამდეც. ღირსშესანიშნავი გაუმჯობესებები ავტომობილების კონსტრუქციაში არ არის. ზოგიერთი გაუმჯობესებები, როგორიც არის მუხრუჭები ოთხივე ბორბლებზე, თითქმის წარმოდგენილი მანქანების უმეტესობას აქვს.

გამოფენის პირველ დღეებშივე წარმოდგენილ ფირმებიდან ზოგიერთებს მიეცათ აუარება შეკვეთები.

პირველი დღის განმავლობაში, გამოფენაზე გაიყიდა 150 ათასს ავტომობილამდე, სულ 30 მილ. გირვანქა სტერლინგათ ანუ 300 მილიონ მანეთის ღირებულების.

### საჰაერო ყუმბარები.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს ლონდონსა და პარიზს გერმანელები უშენდენ 300 კილოგრამიან (20 ფუთი) ყუმბარებს. ამჟამად კი მზადდება 6-ჯერ უფრო მძიმე და დიდი ყუმბარები. დამახასიათებელია ის, რომ ჰაეროპლანიდან სახმარ ყუმბარების სიმძიმის ნახევარს შეადგენს მათში მოთავსებული ამაფეთქებელი ნივთიერებანი. საარტილერიო ჭურვებში კი ამაფეთქებელი ნივთიერება ყოველთვის ყუმბარის მთელი წონის მეთუთხმეტე ნაწილს შეიცავს. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ჰაეროპლანიდან სახმარი ყუმბარები გაცილებით უფრო მომქმედი და გამანადგურებლები არიან ვინემ საარტილერიო ყუმბარები.

ამერიკაში ამ ჟამად უდიდესი ყურადღება ექცევა საჰაერო ყუმბარების დამზადებას. მაგრამ ასეთი საშინელებისაც არ უნდა შეგვეშინდეს.

მართალია ქალაქში მათ გადმოყრას დიდი ზარალის მოტანა შეუძლია, რადგან აუარება შენობებს დაანგრევს და მილეწ-მოლეწავს, მაგრამ ველში და განსაკუთრებით ფეხოსანი ჯარის წინააღმდეგ ისინი ნაკლებათ მომქმედნი და ზარალის მიმყენებელია.

# პასუხი შეკითხვებზე

**კითხვა.** ვმუშაობ ბიბლიოთეკაში. სამსახურის გათავების შემდეგ მინდა დავრჩე ჯარში ბიბმომუშავეთ. ვის უნდა მივმართო?

ვართანოვი.

**პასუხი.** მიმართეთ თქვენს სამხკომს.

**კითხვა.** ვმსახურებ ზედმეტ მსახურათ ზემდეკათ. საოჯახო ულუფა მეკუთვნის თუ არა?

კახიძე.

**პასუხი.** გეკუთვნით.

**კითხვა.** ვადა გასული ტანისამოსი გადადის თუ არა ზედმეტ მსახურის საკუთრებათ?

**პასუხი.** საკუთრებათ გადადის.

**კითხვა.** ზედმეტ მსახურ ზემდეგებს ეძლევათ თუ არა ისეთი ტანისამოსი, როგორც საშუალო მეთაურებს, ე. ი. საშარვლო და სახალათო მატერია?

**პასუხი.** არა.

**კითხვა.** ვარ ლეგიონის დალაქი, 1 მ. 20 კ. მეტი გასამრჯელო მერგება თუ არა?

წ. ა. შაქარაშვილი.

**პასუხი.** არა.

**კითხვა.** ვარ ლეგდალაქი. მსურს დარჩენა ჯარში. არის თუ არა ასეთი შტატი?

**პასუხი.** შტატი არ არის.

**კითხვა.** წ. ა. რა ღირს თვეში გაზეთი „წ. არმ.“?

**პასუხი.** წითელ-არმიელისთვის 40 კაპ. თვეში სოფლად გადაგზავნით და 50 კაპ. კი-ნაწილში.

**კითხვა.** სხვას მივაბარე მაზარა და დამიკარგა. რამდენი გადამხდება?

**პასუხი.** 11 მან. და 75 კ.

**კითხვა.** დავკარგე მაზარა. მომეცემა თუ არა სხვა?

**პასუხი.** უნდა მოხდეს კვლევა-ძიება და დაამტკიცოთ-რომ ნამდვილად დაგეკარგათ, რის შემდეგ მოგეცემათ მაზარა.

**კითხვა.** სამსახურის გათავების შემდეგ ვიშოვნი თუ არა სამოქალაქო სამსახურს?

ბარამიძე.

**პასუხი.** უვადო შვებულებაში წასულ წ. ა. უნდა მიეცეთ სამსახური პირველ რიგში, სადაც ადგილი იქნება თავისუფალი.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. გულდამწვარ არმიელ. (ვ-მე ლეგ. ყოფილ წითელ არმიელს) თქვენი წერილი რედაქციის მიმრთ „ვსთხოვთ უმაღლეს ორგანოს მიაქციოთ ყურადღება,“ გადაეცა ქართულ დივიზიების სამხედრო პროკურორს სათანადო ზომების მისაღებად.

ამხ. ილიკო პატაშურს თქვენი წერილი ფასანაურის თემის შესახებ, გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

ამხ. მეთვალყურეს (1-ლი მესანგრე) თქვენი წერილი „მონარქიზმის მონარჩენები“ გადაეცა 1-ლი დივიზიის პარტკომისიას.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

**დავკარგე** 5-თე ტერლეგიონის 8-ვე ასეულიდან მიღებული სამსახურის წიგნაკი № 170 რადიონ გუჯაბიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.